ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6402127

ნომერი: AR1958295

თარიღი : 31.03.2023

გაცემის თარიღი : 07.04.2023

გაცნობის თარიღი : 07.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/123, ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის №5754159 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 31 მარტის № AR1958295 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის №5754159 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N19, N01.10.13.016.063 (2555 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობისაშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საპროექტო

ტერიტორიაზე განაცხადის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი ფუნქციური ზონის, საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3)-ის პარამეტრებით.

სამსახურის 2023 წლის 24 მარტის N6380193 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის N5754159 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის განახლებული საკადასტრო მონაცემები N01.10.13.016.164 (ფართი 2764 კვ.მ).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის N23-19 დადგენილების მიხედვით N01.10.13.016.164 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3), შეიცვალა საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)-ით.

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია განახლებული ფუნქციური ზონის დაფიქსირება. კერძოდ ნაცვლად საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3)-სა, საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)-ის დაფიქსირება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობით სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავებისთვის დადგენილი მოთხოვნები.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის N5754159 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის N5754159 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში N01230553510-67 განაცხადზე წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით გათვალისწინებული მაქსიმალური სიმაღლის ნიშნულის დაცვითა და არასაცხოვრებელი ფუნქციით განვითარების პირობით.

მიწათსარგებლობის ზონირების ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ფუნქციური ზონა:

- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში(როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე)ტერიტორიებს;

მინიჭებული ფუნქციური ზონის პარამეტრები:

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

კ-1

0,5 * / 0,7

კოეფიციენტი

კ-2

4,6

კოეფიციენტი

კ-3 *

0,2/0,3*

კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე

–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
700
კვ.მ
მინიმალური სიგანე
20
მეტრი
მინიმალური სიღრმე
30
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს..

2. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს ესკიზის მიხედვით გათვალისწინებული სიმაღლის შენობა, არასაცხოვრებელი ფუნქციის განვითარების პირობით.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის N5754159 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.